ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4528455

ნომერი: AR1684146

თარიღი : 28.05.2019

გაცემის თარიღი : 03.06.2019

გაცნობის თარიღი : 04.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 37;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევანი წერეთელი პ/ნ 01005016300
- თბილისი სულთნიშნის ქ. N 2 ბ. 8

ორგანიზაცია:
- შპს "შირნჰოფერი" კოდი: 406278362

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> .ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოადგინეთ განახლებული, დღეის მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, შორი და ახლო ხედიდან, თარიღის ფიქსაციით.
2. ფოტომონტაჟი -> .ფოტომონტაჟის pdf ფაილი : იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი და გაითვალისწინეთ, რომ მსგავსი სახითა და ზომებით სარეკლამო აბრის მოწყობა არ არის მისაღები. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროა შეამციროთ სარეკლამო აბრის ზომები. აქვე გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე_18 მუხლის მე_10 პუნქტის თანახმად : განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს.
3. წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ობიექტთან მიმართებაში შპს „შირნჰოფერის“ (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული). გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით სხვის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ფართებს, საჭირო იქნება მათი თანხმობების წარმოდგენა, თუ არ ეხებით განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.